

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 16

ქ. თბილისი

04.04.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირმა გრძელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან კინწურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის დეკანი;

როზა ლორთქიფანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მერაბ ნაჭყებია - ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი;

მერაბ გვარამია - იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

ნანა გულუა - პროფესორი;

ჯემალ ანთაძე - ასოცირებული პროფესორი;

ლალი გაბისონია - პროფესორი;

ინგა გაბისონია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი;

მაკა ხარებავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი.

ტარიელ ფუტყარაძე - პროგრამაში ჩართული პროფესორი;

მერაბ ჩუხუა - პროგრამაში ჩართული პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ცოტნე სამადაშვილი

თინათინ დავითაშვილი

მაგდა ცინცაძე

გვანცა წულაია

დავით მაისურაძე

დემეტრე ეგნატაშვილი

ვახტანგ ჟვანია

თათის უბერი

ირინა ლობჯანიძე

თამარ იმნაძე

ლეთისო მამისიმედაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:45 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეამდგომლობა.

შეამდგომლობა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს და სთხოვა ესაუბრა პროგრამასთან დაკავშირებულ რჩევებზე, ვინაიდან დასკვნაში რეკომენდაციები არ იყო წარმოდგენილი.

ექსპერტმა, ცოტნე სამადაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შესწავლილი დოკუმენტაციის და ვიზიტის განმავლობაში პროგრამასთან მიმართებით გამოკვეთილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიჩნეულ იქნა რომ პროგრამა გახლდათ კარგი, მის განხორციელებაში ჩართული იყო საკმარისად გამოცდილი, მაღალკვალიფიციური გუნდი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ემსახურებოდა აღნიშნულ საქმიანობას. ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები, ვინაიდან დაფიქსირდა, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელება შესაძლებელი იყო არსებულ პირობებში, თუმცა იყო გარკვეული რჩევები რომლის გათვალისწინებაც კიდევ უფრო გააუმჯობესებდა სასწავლო პროცესს. მაგალითისათვის სასურველი იქნებოდა ლაბორატორიის გაუმჯობესება თანამედროვე აღჭურვილობით. აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთვარეებულები წარმატებით იყვნენ დასაქმებულნი სხვადასხვა პოზიციებზე, ხოლო სამომავლო სტუდენტები

მუშაობდნენ სწორედ ისეთ საკითხებზე რომელთაც გააჩნდათ სახელმწიფო მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სფეროში.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მოცემულობის და რეალობიდან გამომდინარე მაქსიმალურად იყო მხარდაჭერილი ფაკულტეტი სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის და პროგრამის წარმატებულად მოქმედებისათვის. დაწესებულება ცდილობდა განხორციელებინა ისეთი პროგრამები, რომელიც ნაკლებად ხარვეზიანი იქნებოდა ყველა იმ მითითებების და სტანდარტების გათვალისწინებით რაც წინასწარ იყო ცნობილი. აკრედიტაციის საბჭოს კეთილი ნების შემთხვევაში მათ ექნებოდათ საშუალება მიეღწიათ იმ მიზნისათვის რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული. რაც შეეხებოდა დასკვნაში ასახულ რჩევებს, იგეგმებოდა მათი დაუყოვნებლივი შესრულება. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ რჩევას წარმოადგენდა პროგრამაში აკადემიური წერის გათვალისწინება. ვინაიდან წინა საფეხურებზე გათვალისწინებული იყო აღნიშნული საგანი, თავის დროზე დაწესებულებამ არ განახორციელა სადოქტორო საფეხურზე მისი დამატება, თუმცა მოცემულ პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის რჩევის საფუძველზე, სადოქტორო საფეხურისათვის საჭირო სხვა შინაარსობრივი დატვირთვით აკადემიური წერა დამატებული იქნებოდა პროგრამაში მისი შემდგომი განვითარების მიზნით. რაც შეეხებოდა რჩევას მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებით, მოცემულ მომენტში არსებული კვლევებისათვის პროგრამა უზრუნველყოფილი იყო საჭირო ბაზებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კი გამოიკვეთებოდა განსაკუთრებული საჭიროება, დაწესებულება თანამშრომლობდა პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ჰქონდათ მათი თანადგომის იმედი. ასევე აღსანიშნავი გახლდათ, ის რომ პროგრამის კვლევები დაკავშირებული იყო საველე სამუშაოებთან, დაწესებულება ფლობდა საკუთარ საკვლევ ობიექტს 25 ჰექტარის ფართობით, არსებული მეურნეობებით და იმ კულტურებით რომელზეც მიმდინარეობდა კვლევა დოქტორანტურის თემატიკით. შესაბამისად მათ ჰქონდათ შესაძლებლობა ბოლომდე მიეყვანათ დოქტორანტის კვლევები მათთვის ნაკლები დანახარჯით. რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში უკვე მიმდინარეობდა ახალი აღჭურვილობის მონტაჟი, ასევე დაკვეთილი იყო ყველა აუცილებელი დანადგარები და ხელსაწყოები. რაც შეეხებოდა რჩევას ლიტერატურასთან დაკავშირებით, აღნიშნული თვალსაზრისითაც პოზიტიური განწყობა შეინიშნებოდა, რადგან ყველანაირი საშუალება არსებობდა პერსონალის და ინტელექტუალური თვალსაზრისით იმისათვის რომ ჰქონოდათ ქართულენოვანი ლიტერატურა თუნდაც საკუთარი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე. ხოლო დამხმარე სასწავლო ლიტერატურა დოქტორანტებს შეეძლოთ მოეძიებინათ ელექტრონულ ბაზებში.

თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ირიცხებოდა მთლიანობაში 20 სტუდენტი. აქტიური სტატუსის მქონე გახლდათ მხოლოდ 10 სტუდენტი. დაწესებულებაში არსებობდა მექანიზმი რომლის საშუალებით გამორჩეულ სტუდენტებს ეხმარებოდნენ დაფინანსებით 40 პროცენტის ფარგლებში. დაწესებულება ასევე ადგილების გამოცხადებისას ითვალისწინებდა საკუთარ რესურსს, თუმცა ყოველ წელიწადს გარკვეული რაოდენობა რჩებოდა გარეთ ადგილების სიმცირის გამო.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, რამდენი წელი ფუნქციონირებდა ფაკულტეტზე აღნიშნული პროგრამა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის მიღების შემდგომ პროგრამა ფუნქციონირებდა 5 წლის მანძილზე. ზოგადად საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის

უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა აგრარული ფაკულტეტის სახით, შესაბამისად 60 წლიანი ტრადიცია რომელიც არსებობდა მოდიოდა აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა პროგრამის ფუნქციონირების განმავლობაში რამდენ კაცს ჰქონდა დაცული სადოქტორო ნაშრომი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 5 წლის მანძილზე სადისერტაციო ნაშრომი დაცული ჰქონდა ორ კურსდამთავრებულს.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, რამდენად რელევანტური და პერსპექტიული იყო არსებულ რეალობაში სუბტროპიკული მიმართულება. ხომ არ იქნებოდა უმჯობესი სადოქტორო პროგრამას მოეცვა აგრონომიული მიმართულების მთელი სპექტრი და განვითარებულიყო ბაზარზე მოთხოვნი მიმართულებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკის 40 პროცენტი მოდიოდა სუბტროპიკულ მეურნეობაზე. სამწუხაროდ განვლილ პერიოდში სოპლის მეურნეობის დარგისადმი არასწორმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ დარგი რომელიც გახლდათ მომგებიანი გადასულ იქნა დოტაციაზე. თუმცა იკვეთებოდა ტენდენციები სუბტროპიკული რესურსების აღორძინების მცდელობისა. პროგრამაში არსებული 5 მოდული მოიცავდა აქცენტებს როგორც ახალ კულტურებზე ასევე სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზოლებზე, მცენარეთა დაცვის, საქართველოს მშრალ და ტენიან რეგიონულ ზოლებს და ა.შ.

წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული საკითხებით გაჯერებული, ორგანიზებულად ჩამოყალიბებული პროგრამა აუცილებლად გამოიწვევდა სათანადო ინტერესს დამსაქმებლის მხრიდან.

საბჭოს წევრი, ირინე გოცირიძე დაინტერესდა, პროგრამაში გათალისწინებული 5 მოდული წარმოადგენდა სავალდებულო საგნების ერთობლიობას, სადაც საგნები ერთმანეთთან წინაპირობებით იყო დაკავშირებული, თუ სტუდენტს ექნებოდა საშუალება აერჩია სასწავლო კურსები შეთავაზებული 5 მოდულიდან, სადოქტორო თემატიკიდან გამომდინარე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტს თავიდანვე ჰქონდა განსაზღვრული, თუ რომელი კონცენტრაციით იმოქმედებდა და პირდაპირ კავშირში იქნებოდა თემატიკასთან. პროგრამაში ასევე იყო ძირითადი სასწავლო კომპონენტები, რომელიც იყო საერთო. დოქტორანტს ჰქონდა საშუალება სრული 180 კრედიტი მოერგო ინდივიდუალური გეგმისათვის საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე. სემინარი შედიოდა სასწავლო კომპონენტში, ხოლო კოლოქვიუმი წარმოადგენდა კვლევით კომპონენტს. სემინარი წარმოდგენილი გახლდათ ისეთი თემატიკებით, რომელიც ხელს შეუწყობდა დოქტორანტის განვითარებას დარგობრივი მიმართულებით. კოლოქვიუმები გალხდათ ექსპერიმენტის შედეგებზე წარმოდგენილი, რომლის საფუძველზეც ეწყობოდა სადოქტორო ნაშრომი. სადოქტორო ნაშრომამდე ყველა კომპონენტს ჰქონდა თავისი წინაპირობა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ ჩერნობილის მოვლენების შემდგომ საგრძნობლად იქნა დაბინძურებული სამეგრელო-გურიის რეგიონი სადაც ხდებოდა ჩაის კულტურების მოყვანა. ნიადაგის კვლევები ჩატარებული იქნა რამოდენიმე წლის წინაც და აღმოჩენილ იქნა ნიადაგის დაბინძურება მძიმე ელემენტებით. მას აინტერესებდა აღნიშნული მიმართულებით ახორციელებდა თუ არა კვლევებს მათი უნივერსიტეტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა კვლევების დაგეგმვა ნიადაგის გაკეთილშობილებასთან დაკავშირებით, როგორ მოეხდინათ ნიადაგის დეტოქსიკაცია. ერთ-ერთი დოქტორანტი ამუშავებდა სწორედ ნიადაგის რეაბილიტაციის საკითხებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხამ მიმართა ექსპერტს და განაცხადა, რომ სილაბუსებში შეტანილი იყო საგნების დიდი ნაწილი, მაგალითად: უჯრედული ტექნოლოგიის საგანი, აგრომელიორაციის საგანი და ა.შ. მას აინტერესებდა ექსპერტის მოსაზრებით მართებული იყო თუ არა სადოქტორო საფეხურზე აღნიშნული საგნების მიწოდება, როდესაც ამ საგნების უმეტესობა მისსავე უნივერსიტეტში საბაკალავრო სასწავლო პროგრამაში ისწავლებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მან დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია გადაეხედათ სილაბუსებისათვის და შეეცვალათ ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა, აღნიშნული სახით პროგრამა გავიდოდა თუ არა შედეგზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული არ იმოქმედებდა შედეგზე, ვინაიდან დაცული დისერტაციების და გეგმიურად გაწერილი სამუშაოების მიხედვით პროგრამა ტოვებდა თანამედროვე მთაბეჭდილებას, თუმცა თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება უდაოდ სასურველი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ საგნის აღწერა იმეორებდა საბაკალავრო დონის პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს. სწავლის შედეგები გახლდათ ერთი და იგივე. მაგალითისათვის მოყვანილი იქნა ნიადაგმცოდნეობის საგანი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი პასუხობდა შედეგს. რაც მოეჩვენათ გამოსასწორებლად, ჯგუფის მიერ გაცემული იქნა სათანადო რჩევები.

საბჭოს წევრი თეო ურუშაძე დაინტერესდა განსაზღვრული იყო თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის წინაპირობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინაპირობა განსაზღვრული ჰქონდათ, კანდიდატი აუცილებლად უნდა ყოფილიყო აგრონომიის განათლების მქონე.

საბჭოს წევრმა თეო ურუშაძემ მიმართა წარმომადგენელს და განაცხადა, რომ ხომ არ უფიქრიათ იმაზე, რომ სასწავლო კომპონენტში არ ყოფილიყო ჩაშლილი საგნების დიდი რაოდენობა და ხომ არ იქნებოდა უმჯობესი აღნიშნული საგნები შეთავაზებული ყოფილიყო არჩევითი საგნების ბლოკად, ვინაიდან საგნების უმეტესობა დოქტორანტების ნაწილს შესაძლებელი იყო გავლილი ჰქონოდათ სწავლების წინა საფეხურებზე. რაც შეეხებოდა მოდულებს, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი სტუდენტებს ჰქონოდათ საშუალება ლავირება მოეხდინათ მოდულების მიხედვით და სხვადასხვა მოდულის საგნები ესწავლათ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ეტაპზე არსებული მიდგომა განვლილი პერიოდის მანძილზე ითვლებოდა გამართლებულად, მოდულებს ემსახურებოდა შესაბამისი დეპარტამენტები.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა სასწავლო კურსების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე დაწესებულებას გაეკეთებინა რამოდენიმე გამსხვილებული სასწავლო კურსი და დანარჩენი დრო დათმობოდა კვლევას. მისი მოსაზრებით გარკვეული საგნები ნამდვილად ვერ დაეხმარებოდა სტუდენტს კვლევის განხორციელების დროს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კუთხით არასდროს შეუხედავთ პროგრამისათვის. დებულებით პირდაპირ იყო დადგენილი, რომ 60 კრედიტი ეთმობოდა სასწავლო კომპონენტს და 120 კრედიტი კვლევას.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით პროგრამაში რომც არ ყფილიყო საგნების გარკვეული რაოდენობა, დოქტორანტი საკუთარი გამოცდილებიდან, კვალიფიკაციიდან, ბაზებიდან მაინც შეძლებდა კვლევების განხორციელებას და საბოლოო ნაშრომის შესრულებას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში დაწესებულებაში განხორციელდა ბევრი განსახვევებული მიდგომა სადოქტორო პროგრამების მიმართულებით. მთელი რიგი კრიტერიუმები გახლდათ გადახალისების პროცესში, უახლოეს პირობებში შეიცვლებოდა მიდგომები. მუშავდებოდა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც გადახედილი იქნებოდა კრედიტებთან დაკავშირებული მიდგომები და მეტი დრო და რესურსი დაეთმობოდა კვლევას. საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციები კიდევ უფრო გაამყარებდა მათ პოზიციას სადოქტორო პროგრამების მიდგომასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურის მიხედვით ერთი სასწავლო კომპონენტი გახლდათ კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიები აგრონომიაში. მას აინტერესებდა კვლევითი ტექნოლოგიების სწავლა ხდებოდა მხოლოდ ამ საგნით თუ სხვა საგანშიც იყო ჩადებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევის მეთოდები ინტეგრირებული იყო ყველა საგანში, რომელსაც გაივლიდა დოქტორანტი. მაგალითად საგანში საქართველოს ნიადაგის მელიორაციული ტექნოლოგიები, აღნიშნულ შემთხვევაში საველე პირობებში დგებოდა გეგმა, განისაზღვრებოდა ნიადაგის ტენტენიანობა, შემდეგ იყენებდა ლაბორატორიულ სამუშაოებს და სწავლობდა ნიადაგს და განსაზღვრავდა მის თვისებებს. მიღებული შედეგით ხდებოდა აღნიშნული ნიადაგის დარაიონება და განსაზღვრა გამოყენებადი იქნებოდა თუ არა მისი თვისებები მეურნეობაში.

საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, თუ სად იყო გამოქვეყნებული წამყვანი დოქტორანტების და პერსონალის სტატიები ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით დოქტორანტების მიერ 2 სტატია იყო გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასევე გამოქვეყნებები ანალოგიური ტიპის ჟურნალებში ჰქონდა პერსონალსაც.

16:37 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:32 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 27⁶ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ეძლეოდა მონიტორინგის პირობით. კერძოდ ცენტრს ევალებოდა 9 თვის მანძილზე განხორციელებინა მონიტორინგი და გადაემოწმებინა გათვალისწინებული იყო თუ არა დადგენილი პირობები. ასევე თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ უნდა გაძლიერებულიყო სასწავლო კვლევითი კომპონენტები.

2. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №39 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ 2018 წლის 2 აპრილს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წერილით მიმართა ცენტრს (რეგისტრაციის №367945), სადაც მითითებული იყო, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №39 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად მიჩნეულ 2018 წლის 14 მარტის № 13 ოქმის პირველ ნაწილში ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში არასწორად იყო მითითებული პროგრამის კვალიფიკაციის კოდი. კერძოდ, კვალიფიკაციის კოდის სახით მითითებული იყო 100405, მაშინ როცა სწორი ვერსიაა 1004.

საბჭომ განიხილა აღნიშნული ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხი, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის

სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №39 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნას ცვლილება სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №39 გადაწყვეტილებაში და № 13 ოქმის პირველ ნაწილში პროგრამის მოკლე აღწერის ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი და უახლესი ისტორია
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი - 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ესაუბრა დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა თინათინ დავითაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სადოქტორო პროგრამა მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი, პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა რის შემდეგაც მოხდა მისი გაყოფა ორ ნაწილად. სწორედ აღნიშნული პროგრამის განაყოფს წარმოადგენდა განსახილველი კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა. პროგრამა აგებული გახლდათ სადოქტორო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების ინსტრუქციის და დოქტორანტურის სტანდარტის მიხედვით. პროგრამაში ჩართული იყო რვა აკადემიური პერსონალი, რომლიდანაც შვიდი წარმოადგენდა ადგილობრივ კადრს, ხოლო ერთი გახლდათ დასაქმებული სრული კონტრაქტით. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე ასევე ჰყავდა ერთი მოწვეული პროფესორი. ვინაიდან პროგრამა გახლდათ ახალი პროგრამაზე არ ირიცხებოდნენ სტუდენტები. ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა სამი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის მიზანს. მიზანი მოიცავდა დიდი მოცულობის დამატებით ინფორმაციას, რაც ექსპერტების მოსაზრებით სასურველი იქნებოდა ამოღებული მისი შინაარსიდან და მიზანი ყოფილიყო უფრო ნათელი და ადვილად აღსაქმელი. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა ენას. პროგრამა ხორციელდებოდა ქართულ ენაზე, წინაპირობებში

გათვალისწინებული იყო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). წარმოდგენილი 11 სილაბუსიდან მხოლოდ სამ კურსში იყო მითითებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე. იმისათვის რომ ფორმალურად სრულად ყოფილიყო უზრუნველყოფილი სასწავლო შედეგების მიღწევა, სასურველი იყო ყველა სილაბუსს დამატებოდა ქართულენოვანი ლიტერატურა თუნდაც კონსპექტის დონეზე. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ციკლს. ციკლი კარგად იყო გაწერილი, თუმცა ბოლო ეტაპი რომელიც ეხებოდა განვითარებას, არ იყო დაკონკრეტებული ვის, რა ხერხებით და მეთოდებით უნდა განეხორციელებინა აღნიშნული ეტაპი.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებდნენ მიზანთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, თუმცა ვინაიდან საქმე ეხებოდა დინამიურად განვითარებად მიმართულებას, მიზანში დამატებითი ინფორმაციის სახით ასახული იყო ის გარემოება, რომ პროგრამას შეეძლო სტუდენტისათვის მიეცა საშუალება განეხილათ არსებული ცოდნა, თუმცა შესაძლებელი იყო რომ სიტყვა „შეასწავლის“ ამოღებული ყოფილიყო კონტექსტიდან. რაც შეეხებოდა ენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, აღსანიშნავი იყო, რომ სტუდენტების კონტიგენტის დიდი წილი მოდიოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, შესაბამისად მათთვის უნდა მიეცათ რუსულ ენაზე ჩაბარების საშუალება. აღსანიშნავი იყო, რომ რუსულენოვანი სტუდენტებისათვის დაწესებულებაში ხორციელდებოდა ინგლისური ენის უფასო კურსები. რაც შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, მისი შესრულების მექანიზმი გაწერილი იყო დეტალურად, აღნიშნული პუნქტები ხორციელდებოდა, შექმნილი იყო ცალკეული ჯგუფები, რომლებიც მუშაობდნენ თითოეულ კომპონენტზე.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა თავდაპირველი პროგრამის გაყოფის შემდეგ ელოდებოდნენ თუ არა უკეთეს შედეგს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მოსაზრებით პროგრამას ნამდვილად უნდა ჰქონოდა უკეთესი შედეგი, ვინაიდან წინა პროგრამასთან მიმართებით ფიქსირდებოდა ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებიც ვინაიდან პროგრამის მიხედვით სტუდენტები იყოფოდნენ მათემატიკის და ინფორმატიკის დოქტორებად, შესაბამისად მათი გამოიჯვნა და ცალკეული ფორმით შეთავაზება მიჩნეული იქნა უფრო გამართლებულ სტრატეგიად. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ პროგრამას არ დაუკარგავს მათემატიკური რაკურსი და მთელი რიგი მათემატიკური საკითხები შეტანილი იქნა მასში, როგორც იყო ალგორითმები, მათემატიკური მოდელირება, სხვადასხვა ამოცანები და ა.შ.

საბჭოს წევრმა დინიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აკადემიურ წერასთან დაკავშირებით მას აინტერესებდა თუ რატომ იყო წყაროში მითითებული ლატექს ტუტორიალი და რაიმე სპეციფიკური კავშირი ხომ არ ჰქონდა მას აღნიშნულ საგანთან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მანამც მიაქცია ყურადღება აღნიშნულ გარემოებას, საგანი იჯდა დოქტორანტურის სტანდარტში და ჰოქნდა განსხვავებული დატვირთვა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლატექსი გახლდათ პროგრამული პაკეტი, საერთაშორისო სტანდარტის მექანე რედაქტორი, რომელსაც იყენებდა დაწესებულება სტატიების და პუბლიკაციების წერის დროს. ყველა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში მიღება მათი სფეროდან ხდებოდა ლატექსის პროგრამის საშუალებით.

საბჭოს წევრი სოფიკო ლომჯანიძე დაინტერესდა, რა გახლდათ სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსის მიზანი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კურსში საუბარი გახლდათ სწავლების დისტანციურ მეთოდებზე.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ მიმართა წარმომადგენელს და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა შეეცვალათ სწავლის შედეგები და მიზნები, ვინაიდან სახელწოდება არ მოდიოდა თანხვედრაში თუ აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ დისტანციურ სწავლებაზე. ასევე მათ ჰქონდათ წარმოდგენილი ქარტიები და დეკლარაციები, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა ლიტერატურად. დისტანციური სწავლების მეთოდების მიმართულებით არსებობდა შესაბამისი ლიტერატურა.

17:57 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 18:09 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ესაუბრა დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა დავით მაისურაძემ განაცხადა, რომ პირველ რიგში აღსანიშნავი იყო პლაგიატთან დაკავშირებული პრობლემები, დაწესებულება არ ფლობდა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას და სამაგისტრო ნაშრომების ვიზუალური დათვალიერებისას მარტივი დასანახი იყო წყაროების ნაკლებობა. ექსპერტთა ჯგუფის წევრის დემეტრე ეგნატაშვილის მიერ აღმოჩენილ იქნა ერთ-ერთი სილაბუსის იდენტური მსგავსება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსთან. აღსანიშნავი იყო, რომ ლექტორების კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მათ მიერ წაკითხულ საგნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული იყო, რომ აკადემიური პერსონალს 2010-2016 წლების განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდათ 17 სტატია, ხოლო ვიზიტზე ნანახი იქნა მხოლოდ 15 სტატია რაც წარმოადგენდა მინიმალურ ოდენობას. აღსანიშნავი იყო, რომ ჯგუფის მოსაზრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერ ფუნქციონირებდა ეფექტურად, ფუნქციონირებაში იგულისხმებოდა ზოგადად ხარისხის პოლიტიკა, რომელიც წარმოდგენილი იყო დაბალი სიმკაცრით და საჭიროებდა გაძლიერებას. ბიბლიოთეკაში შეინიშნებოდა უცხოენოვანი წიგნების სიმწირე, ბიბლიოთეკას არ ჰქონდა

ელექტრონული ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სტუდენტისათვის. სილაბუსებში არ იყო მითითებული მნიშვნელოვანი და უახლესი ლიტერატურა, დაწესებულებას ასევე არ ჰქონდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რაც აფერხებდა კომუნიკაციას ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. ასევე აღსანიშნავი იყო კომპიუტერული რესურსების ნაკლებობა და მიზნობრივი ბიუჯეტის არარსებობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთ მისიას წარმოადგენდა კონფლიქტის რეგულირებაზე კონცენტრირება, აქცენტი კეთდებოდა ქართველების და აფხაზების შერიგების საკითხზე. ასევე მითითებული იყო მათ მიზანს არ წარმოადგენდა მხოლოდ ქართველების და აფხაზების შერიგების კოორდინირება, არამედ მედიაციისა და ზოგადად კონფლიქტის რეგულირება ბიზნეს და სამოქალაქო დავების გათვალისწინებით. თუმცა არსებული საკითხების კუთხით წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი კურსი, რაც არ იყო საკმარისი და ვერ უზრუნველყოფდა მისიის შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემული იქნა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ შექმნილიყო მედიაციის ცენტრი მიმართულების გაძლიერების მიზნით. აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა, სასურველი იყო სილაბუსების მაღალკვალიფიციური კადრებით გადახალისება.

ექსპერტმა თათია უბერმა განაცხადა, რომ განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ენის სერთიფიკატი, მოცემულ სილაბუსებში ძირითადად ლიტერატურა მითითებული იყო სხვადასხვა ენაზე. საინტერესო იყო რამდენად მოახერხებდა უნივერსიტეტი რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე კომპლექსურად მიეწოდებინა სტუდენტისათვის ინფორმაცია და გაედრმავებინა მისი ცოდნა შესაბამისი ლიტერატურის დაფარვით მით უმეტეს როდესაც საუბარი იყო მასიტრატურის საფეხურზე. აღნიშნული საკითხი მას შემდეგ დადგა ეჭვის ქვეშ რაც გამოიკვეთა ინგლისური ენის არასათანადო დონეზე ცოდნა, რომელიც გამოვლინდა როგორც სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით ასევე გაცვლითი პროგრამების ნაკლებობით.

ექსპერტმა ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ საგნების უმეტესობა შეინაარსიდან გამომდინარე კავშირში იყო შედარებით ანალიზთან, გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და სამართლებრივი სისტემები, მაგრამ ლიტერატურიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო განხორციელებულიყო სხვადასხვა სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების შესწავლა. გამოყენებული იყო მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა რომელიც სრულად არ იყო ათვისებული ვინაიდან იყო გარკვეული საკითხები, რომელიც ეხებოდა შედარებით კონსტიტუციონალიზმს, კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას და გამოყენებული გახლდათ მოძველებული ლიტერატურა და ქართულ ენაზე არსებული მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები არ იყო მოხსენიებული სილაბუსებში. რაც შეეხებოდა შეფასებას, სილაბუსების უმეტესობა შეფასების ნაწილი იყო თითქმის ერთმანეთის მსგავსი, ჩანდა რომ შეფასების სისტემაზე უფრო მეტად ნამუშევარი ჰქონდა უნივერსიტეტს და არა კონკრეტულ ლექტორს მისი ინტერესებიდან გამომდინარე. სილაბუსებში განსაზღვრული იყო სამი სხვადასხვა აქტივობა, რომლიც მითითებული იყო ყოველკვირეული აქტივობის სახით. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვა, ტესტებზე მუშაობა, წერითი კომპონენტი. პირველი ორი სილაბუსებში წარმოდგენილი იყო ჩაშლილი სახით, მაგრამ წერით კომპონენტზე შუალედურის 30 ქულა იყო განსაზღვრული. თუ აღნიშნული გახლდათ ყოველკვირეული, ასეთ შემთხვევაში გამორიცხული იყო 30 ქულის მინიჭება წერით აქტივობაზე. საბოლოო ჯამში სილაბუსებში დასახვეწი იყო ბევრი რამ, ვინაიდან სტუდენტს ვერ შეეძმენბოდა სრული შტაბეჭდილება იმის თაობაზე თუ რა აქტივობებს ექცეოდა ყურადღება ლექტორის მხრიდან,

რა აქტივობა როგორ ფასდებოდა და რა მოლოდინები უნდა ჰქონოდა ლექტორის მხრიდან. ასევე იყო კონკრეტული საგანი, სადაც საგამოცდო საკითხები, რომელიც დამატებით იქნა გამოთხოვილი ვიზიტის დროს არ შეესაბამებოდა სამაგისტრო დონეს და შეიცავდა საბაკალავრო დონის საკითხებს მისი სიმარტივიდან გამომდინარე. აღნიშნული საკითხების დამუშავება ნამდვილად არ საჭიროებდა 3 საათს. აღნიშნული საგანი დამატებული იყო ასევე საბაკალავრო საფეხურზეც ისწავლებდა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდნენ გარკვეულ რეკომენდაციებს, რაზეც არსებობდა ობიექტური გარემოებები. იურიდიული ფაკულტეტი დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 40 წელი, რომელიც შექმნილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის დონორიც გახლდათ იურიდიული ფაკულტეტი. პროგრამა ძირითადად დაკომპლექტებული იყო არჩევითი საგნებისგან, კონკრეტულად სავალდებულო საგნები არ იყო წარმოდგენილი გარდა ერთი 12 კრედიტიანი საგნისა - აკადემიური წერა მაგისტრებისათვის. აკადემიური წერის სილაბუსი დეტალურად იქნა გაწერილი, პლაგიატს ეთმობოდა სამი თემა, გამოყენებული იყო ყველა ხელმისაწვდომი ლიტერატურა. სამაგისტრო ნაშრომების დროს როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა პლაგიატის არსებობა, აღსანიშნავი იყო, რომ დღის წესრიგით გაწერილი 20 წუთი საკმაოდ მცირე დრო გახლდათ 21 სამაგისტრო ნაშრომის გადასამოწმებლად და პლაგიატის აღმოსაჩენად.

ექსპერტი თათია უბერი დაინტერესდა რას გულისხმობდა წარმომადგენელი 20 წუთში.

წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ექსპერტებს ჰქონდათ 20-25 წუთი ნაშრომების გადასამოწმებლად.

ექსპერტმა თათია უბერმა განაცხადა, რომ ჯგუფი მუშაობდა მთელი დღის მანძილზე და შეხვედრების პარალელურად მათ ჰქონდათ საშუალება ემუშავათ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე. მას აინტერესებდა დაწესებულებას თუ ჰქონდა ჩანაწერი იმის თაობაზე თუ რამდენი ხანი დაეთმო თითოეულ კომპონენტზე მუშაობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ დღის წესრიგით გაწერილი გრაფიკი, ჯგუფის მუშაობა გაგრძელდა საგამოს 9 საათამდე და იგი მუდმივ კონტაქტში იყო ჯგუფთან მუშაობის პერიოდში. ასევე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ დამსაქმებლები არ იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში. აღნიშნული არ წარმოადგენდა სიმართლეს ვინაიდან მან ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა დოკუმენტაცია სადაც ფიქსირდებოდა მათი ჩართულობა. ასევე არასწორი ინფორმაცია იყო, იმის აღნიშვნა, რომ დამსაქმებლებს ოვითონ აღუნიშნავთ, რომ არ იყვნენ ჩართულები პროცესში. ამის თაობაზე არსებობდა ფოტომასალა სადაც ასახული იყო მათთან ინტერნეტით კომუნიკაცია როდესაც ხდებოდა პროგრამაზე გადაგზავნა და მათ მიერ მათი ვერსიის გადმოგზავნა. პროგრამაში იყო საგნების ოთხი მიმართულება: საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, კერძო და საჯარო სამართალი. სილაბუსების რაოდენობა გახლდათ დიდი, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევდა აერჩია საგნების ფართო სპექტრი. გარკვეული საგნები, რომელიც ვარდებოდა ვინაიდან არ ლეზულობდნენ დიდი რაოდენობით მაგისტრებს. რაც შეეხებოდა უცხო ენას, ის ვინც ირიცხებოდა პროგრამაზე სათანადო დონეზე ფლობდა უცხო ენას. დაწესებულების წარმომადგენელი ორჯერ გახლდათ წასული ჰააგაში სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესზე სადაც წაყვანილი ჰყავდა სტუდენტები, საქართველოდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ სამი უნივერსიტეტი. მას ჰქონდა საშუალება წარმოედგინა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების სამოცამდე კონფიდენციალური შეფასება, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდა 8 სტუდენტი. რაც შეეხებოდა ინფორმაციას გაცვლითი

პროგრამების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია აღნიშნულის შესახებ დოკუმენტაცია, თუმცა წარმომადგენელს შეეძლო აღნიშნული დოკუმენტები ეჩვენებინა საბჭოს წევრებისათვის. სამი სტუდენტი მიმდინარე სასწავლო წელს იმყოფებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტში. რაც შეეხებოდა პუბლიკაციებს, ექსპერტთა ჯგუფის პირვანდელ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ აკადემიური პერსონალი არ აქვეყნებდა პუბლიკაციებს, არ გამოიყენებდა ჟურნალებს. დაწესებულებამ აცნობა ჯგუფს, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე ათვირთული იყო პროგრამაში ჩართული პერსონალის პუბლიკაციები და შრომები. გარდა ამისა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ საშუალება გადაეხედათ აკადემიური პერსონალის რეზიუმეებისათვის, ვინაიდან აღნიშნული დამატებითი დოკუმენტაციის სახით თან ერთვოდა სააკრედიტაციო განაცხადს და შესაბამისად აისახებოდა ექსპერტებისათვის წინასწარ შესასწავლად გადაგზავნილ მასალებში. აკადემიურ პერსონალს ჯამში გამოქვეყნებული ჰქონდა 255 სტატია. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ბრძანებდა რომ მათ არ ჰქონდათ პროექტები და კვლევები, მას სურდა აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი ასოცირებული პროფესორი, ხათუნა ბურკაძე იმოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნივერსიტეტმა მას მისცა 6 თვიანი ანაზღაურებადი აკადემიური შვებულება და ამჟამად აღნიშნული პიროვნება მუშაობდა კიბერუსაფრთხოების კვლევებზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისურ ენასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ სპეციალური პროგრამები, ენათა ცენტრი სადაც უფასოდ მიმდინარეობდა აკადემიური პერსონალის გადამზადება. რაც შეეხებოდა უცხოენოვან სილაბუსებს, დასკვნაში ასახული იყო, რომ გასაუბრების დროს გამოკვეთილ იქნა ლექტორების და სტუდენტების მიერ რომ მათ არ იცოდნენ უცხო ენა. აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმებული იქნა დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ ლექტორებთან და სტუდენტებთან, სადაც მათ განაცხადეს რომ მსგავსი ინფორმაცია მათ არ მიუწოდებიათ ექსპერტთა ჯგუფისათვის. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ინგლისური ენის კურსებს ირჩევდა სტუდენტთა კონტიგენტის უმეტესობა. რაც შეეხებოდა კვლევებს, დაწესებულებას ჰყავდა პროფესორი ედიშერ ფუტყარაძე, მის რეზიუმეში მითითებული იყო რომ წელიწადნახევრის განმავლობაში იგი იმყოფებოდა 4 საერთაშორისო კონფერენციაზე. სილაბუსებთან დაკავშირებით რიგ შემთხვევაში წარმომადგენელი ეთანხმებოდა ექსპერტებს, რიგ შემთხვევაში ხარვეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურა ფართოდ არ იყო მითითებული. აღსანიშნავი იყო ასევე ისიც, რომ ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებდა შეფასების ერთიანი მეთოდები და სისტემა, საერთაშორისო სამართლის მიმართულებაში არცერთი შეფასების სისტემა არ ემთხვეოდა ერთმანეთს, კერძო სამართლის მიმართულებაში 50% ემთხვეოდა ერთმანეთს, სისხლის სამართალში 80%, ხოლო საჯარო სამართალში 20-25%. შესაძლებელი იყო გარკვეული დამთხვევები განპირობებული ყოფილიყო კონკრეტული საგნის მიზნებისათვის. რაც შეეხებოდა პლაგიატს სილაბუსებთან დაკავშირებით, წარმომადგენლისათვის შეურაცმყოფელი იყო აღნიშნული პოზიცია, როგორც მის მიერ შემუშავებულ ასევე სხვა პროფესორების სილაბუსებზე ღამეები იყო ნათენები და გამორიცხული იყო, რომ რომელიმე სილაბუსი ყოფილიყო პლაგიატის შედეგი. რაც შეეხებოდა სილაბუსს საკორპორაციო სამართალში, მათ მოიწვიეს აღნიშნული საგნის წასაკითხად გერმანიიდან ჩამოსული ახალგაზრდა, რომელსაც ჰქონდა ევროპული განათლება, მან შეიმუშავა სილაბუსი, რომელიც როგორც აღმოჩნდა გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსის იდენტური, მცირე განსხვავებებით. სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ დადგინდა მნიშვნელოვანი ხარვეზი პლაგიატის თვალსაზრისით.

დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტათ თანამშრომლობა აღნიშნულ პიროვნებასთან და მოეძიებინათ ახალი კადრი. რაც შეეხებოდა მუნიციპალური სამართლის სილაბუსს, შენიშვნა აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით გამომდინარეობდა იქედან, რომ მითითებული გახლდათ რუსულენოვანი ლიტერატურა, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო სტუდენტთა კონტიგენტით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში შექმნილი იყო პრაქტიკისა და კარიერის სამსახური, ყოველწლიურად აღნიშნული დეპარტამენტი აგროვებდა კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ მონაცემებს და ადგენდა მათი დასაქმების მაჩვენებლების სტატისტიკას. აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით კურსდამთავრებულთა 74% გახლდათ დასაქმებული.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტში არ არსებობდა კომპიუტერული კლასები. ასევე საინტერესო იყო რას გულისხმობდნენ ექსპერტები ანტიპლაგიატის პროგრამაში. მას აინტერესებდა რა პროგრამა უნდა ჰქონოდათ, რომ დაეკმაყოფილებინათ ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნა. მისთვის ცნობილი იყო, რომ შექმნილი იქნა კონსორციუმი რომელიც მუშაობდა პროგრამაზე რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ასევე არსებობდა მრავალი არალიცენზირებული პროგრამა, შესაძლოა აღნიშნული ჰქონდათ მოაზრებული ექსპერტებს. დაწესებულების ფართი იყო გარემონტებული, ფიქსირდებოდა გარკვეული პრობლემები რომელიც არ იყო კავშირში ინფრასტრუქტურასთან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნა ეფუძნებოდა ობიექტურ გარემოებებს, ობიექტურ გარემოებად ჩაითვლებოდა ის, რომ მთელი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ სამაგისტრო ნაშრომებს და ემსჯელათ მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. უნივერსიტეტს არ ჰქონდა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა, რომლითაც გარკვეული უნივერსიტეტები წარმატებით სარგებლობდნენ. რაც შეეხებოდა სილაბუსებს, მაგალითისათვის: „შედარებითი შრომის სამართლის სილაბუსში სასწავლო კურსის მიზნად აღნიშნული იყო, რომ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში შედარებითი შრომის სამართლის შესავალი, მისი შემეცნება ხდებოდა იმ ფონზე, როცა სახელმწიფოებრივი წარმოების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები დაკავშირებული იყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან, რომლის მიზანი გახლდათ საკუთრების განსახლმწიფოებრიობის, ანუ პრივატიზაციის ბაზაზე წარმოების ცვლილება და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა“. ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საქართველოში დიდი ხნის წინ იყო დასრულებული, ასე, რომ აღნიშნული სილაბუსის მიზანი გახლდათ რთულად წარმოსადგენი არსებულ რეალობაში. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ შედარებითი შრომის სამართლის სილაბუსს კითხულობდა პედაგოგი, რომლის სადისერტაციო თემის სახელწოდება გახლდათ „მეურვეობისა და მზრუნველობის სამართლებრივი რეგულირება“, ასევე წარმოდგენილ რეზიუმეზე დაყრდნობით, აღნიშნულ პედაგოგს არ ჰქონდა შედარებითი შრომის სამართლის მიმართულებით სტატიები. ასევე საბანკო - საკრედიტო სამართლის პედაგოგის სადისერტაციო ნაშრომის სახელოწდებას წარმოადგენდა „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“. რეზიუმეზე დაყრდნობით აღნიშნულ პედაგოგსაც არ ჰქონდა სტატიები საბანკო-საკრედიტო სამართლის მიმართულებით. რაც შეეხებოდა კომპიუტერებს, აღნიშნული იყო, რომ ფიქსირდებოდა კომპიუტერების ნაკლებობა და არა ის, რომ კომპიუტერები საერთოდ არ ჰქონდა დაწესებულებას, რაც შეეხებოდა დამსაქმებლებს, მათ

ინტერვიუზე ჰკითხეს იღებდნენ თუ არა მონაწილეობას პროგრამის შემუსავებაში, რაზეც პასუხი გალხდათ, რომ უშუალოდ შემუშავებაში მათ არ ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა. ექსპერტთა ჯგუფს გათვალისწინებული ჰქონდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გარკვეული ნაწილი, რომელიც სრულად იქნა ასახული დასკვნაში. ექსპერტის მიერ ასევე ხაზი გაესვა, რომ დასკვნაში რეკომენდაციის სახით მითითებული იყო, რომ დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა ერთიანი პოლიტიკა და მიდგომა ნაშრომებში პლაგიატის გამოსავლენად, აღნიშნული უნდა ყოფილიყო როგორც დაწესებულების ასევე აკადემიური პოზიციის ერთიანი პოზიცია, შემუშავებული უნდა ყოფილიყო უშუალოდ ინსტრუქცია.

წარმომადგენელმა, კერძოდ შედარებითი შრომის სამართლის სილაბუსის ავტორმა განაცხადა, რომ იგი გახლდათ კერძო სამართლის პროფესორი, მას ჰქონდა საკმარის გამოცდილება იგი ათეულობით წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს შრომის სამართალში, მის რეზიუმეში მოცემული იყო მისი პრაქტიკული ბიოგრაფია შრომის სამართლის მიმართულებით. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის იურისტს, მას პირდაპირი შეხება ჰქონდა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებთან. შესაბამისად არ შეიძლებოდა ცალსახად განესაზღვრა ექსპერტს, რომ მას არ ჰქონდა სათანადო კომპეტენია სალექციო კურსი წაეკითხა შრომის სამართალში. რაც შეეხებოდა შენიშვნას მის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ასპექტებს, შრომის კოდექსის მეოთხე მუხლში მითითებული იყო, რომ არასრულწლოვანი რომელიც იწყებდა შრომით ურთიერთობას, მას სჭირდებოდა კანონიერი წარმომადგენლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა. ყოველივე აღნიშნული პირდაპირ კავშირში იყო შრომის სამართალთან. რაც შეეხებოდა საკითხს პრივატიზაციის პაზის დასრულებასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი წამოწეული იქნა იქედან გამომდინარე, რომ როდესაც საქართველო გადასული იყო ახალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, შეცვლილი იყო საკუთრების ფორმები სწორედ აღნიშნულ ფონზე მიმდინარეობდა შრომის სამართლის შესწავლა.

თავმდჯომარემ განაცხადა, რომ გაეცნო პროგრამას და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, შესაძლებელი იყო გარკვეული ნაწილის გაზიარება, თუმცა მთავარი პრობლემა მდგომარეობდა იმაში თუ როგორ კეთდებოდა კონცენტრაცია, საგნების სილაბისებიდან გამომდინარე როგორ იყო განსაზღვრული ბადე, ვის მიღებას აპირებდნენ, ვის მომზადებას აპირებდნენ, რა ისწავლებოდა კერძო, საჯარო, სისხლის სამართალში და ა.შ. რაც შეეხებოდა საკორპორაციო სამართლის სილაბუსს, აღნიშნული მართლაც გახლდათ მისი სილაბუსი, რომლითაც მან შემოიტანა აღნიშნული დარგი სამართალში, თუმცა ეს არ იყო გაკეთებული იზოლირებულად. იმ უნივერსიტეტში სადაც თავად მოღვაწეობდა, სამაგისტრო პროგრამაში, აღნიშნული სილაბუსიდან გამომდინარე ხდებოდა საგნების განვრცობა, განმარტება და სიღმისეულად შესწავლა. ექსპერტის მიერ აღნიშნული იყო, რომ თანამედროვე კორპორაციული მართვის სტანდარტებს სტუდენტი ვერ აითვისებდა ერთ ლექციაში, ერთ ან ორ საათში, რაც გახლდათ სწორი შენიშვნა. საკორპორაციო სამართლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სხვა საგნებთან კორელაციაში ცოდნა მოდიოდა უნისონში და იქნებოდა ერთიანი სურათი. აღნიშნულიდან გამომდინარე ეს არ გახლდათ სწორი პოზიცია. სწორი პოზიცია იქნებოდა ის, თუ კი დაწესებულება იტყოდა, რომ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაში არ იყო ინკორპორირებული ისეთი საგნები და საკითხები, რომელსაც სტუდენტი ვერ აირჩევდა, მაგალითად: ევროპის საკორპორაციო სამართალი. მის საგანში ჩადებული იყო ევროპის საზოგადოება, როგორც სამართლებრივი ფორმა; ევროპის კერძო საზოგადოება. აღნიშნული

საგნების სწავლება შეუძლებელი იყო ორ საათში, მაგრამ ამ დროს მათ პროგრამაში აღნიშნულ საგანს ხვდებოდა ლადო ჭანტურიას საგანი „ევროპის საკორპორაციო სამართალი“ სადაც იყო განმარტებული ევროპის სუპრანაციონალური სამართლებრივი ფრომები. შესაბამისად ექსპერტების მხრიდან აღნიშნული საკითხის წარმოჩენა უფრო არგუმენტირებული იქნებოდა თუ კი ისინი აღნიშნავდნენ, რომ საგანი ვერ გავიდოდა შედეგზე იქედან გამომდინარე, რომ სამაგისტრო პროგრამის ბადე ის იყო აგებული რომ არ ისწავლებოდა არც კორპორაციული მართვის სტანდარტები და არც ევროპის საკორპორაციო სამართალი, ვინაიდან აღნიშნული საგნები არ იყო ჩადებული პროგრამაში. რაც შეეხებოდა პლაგიატს, საუბარი არ ეხებოდა რაიმე კომპიუტერული სისტემის შექმნას, რომელიც მაგალითისათვის უნიფიცირებული იყო გერმანიაში და ჩართული იყო ათეულობით შრიფტი. პრობლემა გახლდათ მექანიზმების და ინსტრუმენტების არარსებობა, ასევე ნორმატიულ დონეზე უნდა ყოფილიყო გაწერილი, თუ რა გზებით მოხდებოდა პლაგიატთან ბრძოლა. თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ იცნობდა დაწესებულებაში დაცულ სამაგისტრო ნაშრომებს, ნაშრომები გამოირჩეოდა ლიტერატურის და წყაროების სიმწირით. ასევე ვინაიდან მაგისტრატურა გახლდათ გარდამავალი საფეხური ბაკალავრიატის და სადოქტორო საფეხურს შორის მნიშვნელოვანი იყო განმახორციელებელ პერსონალს ჰქონოდა პუბლიკაციები, სტატიები და კვლევითი პროექტები უშუალოდ კონკრეტულ დარგებში.

წარმომადგენელმა დააფისქირა პოზიცია დამსაქმებელთა ჩართულობასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული ყავდათ თბილისში განლაგებული აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, შეეცადნენ არ დაეკარგათ აღნიშნული სტრუქტურები და გაეთავლისწინებინათ მათი მოთხოვნები. მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული დამსაქმებლის მოთხოვნის მიხედვით კონფლიქტების რეგულირების საგნების გათვალისწინება პროგრამაში. გამოცემული იქნა კონფლიქტების რეგულირების და გენოციდის შესახებ წიგნი რუსულ ენაზე, მიმდინარეობდა მუშაობა ინგლისურ ვერსიაზე. პროგრამის განვითარების თვალსაზრისით იგეგმებოდა გაცვლითი პროგრამების შემუშავება ლუბლიანას უნივერსიტეტთან. იგეგმებოდა სილაბუსის შემუშავება კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე აპირებდნენ მედიაციის და მოლაპარაკების საგნის დამატებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დამსაქმებლებთან მიმართებით საუბარი იყო კერძო დამსაქმებლებზე, რომელიც აწვდიდა ინფორმაციას კონკრეტულ მოთხოვნასთან დაკავშირებით ბაზარზე რა ტიპის იურისტი იქნებოდა საჭირო. შრომის ბაზარი გახლდათ მუდმივად ცვალებადი და თავად დაწესებულების ინტერესს ემსახურებოდა მოერგო დამსაქმებლის მოთხოვნისათვის მათ მიერ გამოშვებული კადრი. ინტერვიუს დროს კერძო დამსაქმებლების მხრიდან აღინიშნა, რომ ჯერ არ ყავდათ დასაქმებული არცერთი სტუდენტი. აღნიშნული განცხადების საფუძველზე გამოიკვეთა გარემოება, რომ კერძო დამსაქმებლებთან არ ყოფილა კომუნიკაცია იმის თაობაზე თუ რა ტიპის სპეციალისტის გამოშვებას მინიჭებოდა უპირატესობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში მოხდა დროში აცდენა, წინასწარ იყო შეხვედრა დაგეგმილი, შესაბამისად მათმა უმრავლესობამ ვედარ შეძლო მოცდა. ასევე მათ მოყვანილი ჰყავდათ 30 სტუდენტი ინტერვიუსთვის საიდანაც გასაუბრება შედგა ექსპერტების მოტხოვნით მხოლოდ 8 სტუდენტთან. აღნიშნული 8 სტუდენტი გახლდათ ყველა პირველ კურსელი და შესაბამისად მათ ვედარ ისაუბრეს პლაგიატის წესებზე და აკადემიურ წერაზე, რომელიც ისწავლებოდა მეორე კურსზე. ექსპერტთა დასკვნაში ეწერა, რომ აკადემიური წერის სილაბუსი შეთავაზებული იყო თავიდანვე, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს ვინაიდან აკადემიური წერა ისწავლებოდა მესამე სემესტრიდან. ასევე აღინიშნა

საკითხი უცხო ენის დონესთან დაკავშირებით, B2 დონე ბარდებოდა მისაღებ გამოცდებზე, სტუდენტების უმეტესობა ფლობდა შესაბამის დონეს, ვისაც ჰქონდა შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულება მას აღიარებდა.

19:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ.

სხდომა განახლდა 20:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ განაცხადა, დაწესებულებას აღნიშნული ერთი წლის მანძილზე უნდა გაეუმჯობესებინა მდგომარეობა აკადემიური პერსონალის, უშუალოდ პროგრამის და სილაბუსების გადახედვის და თანამედროვე ლიტერატურის უზრუნველყოფის კუთხით.

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ესაუბრა დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ირინა ლობჯანიძემ განაცხადა, რომ ჯგუფი გაეცნო წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გათავალისწინებული იყო რის საფუძველზეც პროგრამა იყო გაუმჯობესებული. თუმცა ვინაიდან დასკვნა იყო ნაწილობრივ შესაბამისობაში, მან ყურადღება გაამახვილა პრობლემურ საკითხებზე, რომელიც უნდა გამოსწორებულიყო. პროგრამაში აღმოჩენილ იქნა გარკვეული კურსები, რომელიც იყო ზოგადი ხასიათის და თავისი შინაარსით არ შეესაბამებოდა სწავლების მესამე საფეხურს. რეკომენდაციის თანახმად უნდა გამდიდრებულიყო აღნიშნული კურსების შინაარსობრივი მხარე ან მომხდარიყო იყო მათი ჩანაცვლება. სილაბუსების ნაწილში მოცემული იყო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარების შესახებ, არადა კურსების უმეტესობა აღნიშნული უნარების განვითარებაზე არ იყო ორიენტირებული, ამიტომ გაცემულ იქნა რეკომენდაცია აღნიშნული სილაბუსებიდან ამოღებული ყოფილიყო მსგავსი ტიპის უნარებზე გასვლა ან მომხდარიყო უშუალოდ აღნიშნული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული თემატიკების შემოღება. ვინაიდან ლინგვისტური კვლევების ჩატარება მსოფლიო მასშტაბით ორიენტირებული იყო კორპუსების შექმნაზე, კვლევების ჩატარებაზე, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ამიტომ

აღნიშნული უნარი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ თანამედროვე ენათმეცნიერს წარმოდგენა უნდა ჰქონოდა აღნიშნულ კვლევებზე. გაცემული იქნა რეკომენდაცია სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ვიზუალური სილაბუსებში ძირითად მოცემული იყო მსგავსი ტიპის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მაგრამ უშუალოდ ინტერვიუს დროს აღმოჩნდა მეთოდოლოგია მოიცავდა მთელ სპექტრს. გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომ ყოფილიყო შესაბამისობაში ის მეთოდები რომელიც რეალურად გამოიყენებოდა სილაბუსებში აღწერილ მეთოდოლოგიასთან. გაცემული იქნა რეკომენდაციები კვლევითი მეთოდოლოგიის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნებოდა ქართველური ენათმეცნიერების უახლეს სამეცნიერო ტენდენციებს, რაშიც იგულისხმებოდა ენის დოკუმენტირება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე აუცილებელი იყო ლინგვისტური სტანდარტების გათვალისწინება, როგორც იყო ფონეტიკური ანბანი, საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი, ლაიფციგის გლოსირების წესები, საერთაშორისო დონის მორფოსინტაქსური სპეციფიკაციები და ა.შ. იმიტომ რომ პროგრამაში არცერთი სილაბუსის ფარგლებში აღნიშნული ტიპის ინფორმაცია არ იყო მოცემული და გასაუბრების დროსაც ჩანდა, რომ პროგრამა განიცდიდა ინფორმაციის ნაკლებობას ამ მიმართულებით. ზოგიერთ სილაბუსში ადგილი ჰქონდა თემატურ დუბლირებას, გაიცა რეკომენდაცია ვინაიდან იყო სწავლების მესამე საფეხური, სასწავლო კომპონენტი ორიენტირებული არ უნდა ყოფილიყო დუბლირებაზე. ასევე გაცემული იქნა რეკომენდაცია სილაბუსებით მითითებული ლიტერატურის მოცულობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ სილაბუსში შეინიშნებოდა თემატურად ლიტერატურის დიდი ჩამონათვალი და ჩანდა რომ სტუდენტი ასეთი მოცულობის მასალას ვერ მოერეოდა. ასევე გაცემული იქნა რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლებასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ როდესაც საკითხი ეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, განსაკუთრებით ქართველოლოგიის მიმართულებით იზადებოდა კითხვა თუ რა იქნებოდა მისი საზომი აღნიშნული მიმართულებით. ძალიან რთული იყო კვლევის შედეგების გატანა საზღვარგარეთ და შრომების გამოქვეყნებას იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. რეკომენდაცია გაიცა რომ ერთ-ერთი კვლევის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში მაინც. დაწესებულების დადებით მხარეს წარმოადგენდა სწორედ ისეთი ტიპის კვლევების განხორციელება, რაც იყო ძალიან იშვიათი თუნდაც მეგრული და სვანური ენის მიმართულებით და ნამდვილად შესაძლებელი იყო აღნიშნული შრომის შედეგების პოპულარიზაცია. გაცემული იქნა რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის სწავლების შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ პროგრამაში მითითებული იყო, რომ ფუნქციონირებდა დასწრების მექანიზმი, რითიც ხდებოდა ერთმანეთის ლექციებზე დასწრება და ჩატარებული ლექციის ან სემინარის ხარისხის შეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასწრება ხორციელდებოდა მხოლოდ საჯარო ლექციებზე. რეკომენდაცია იქნა გაცემული გამოკითხვის შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შესახებ ვინაიდან აღნიშნული იყო მნიშვნელოვანი პარამეტრი. ვიზიტის დროს მოთხოვნილი იქნა შედეგების ნახვა თუმცა არ იყო ხელმისაწვდომი. ასევე პროგრამაში აღმოჩენილი იქნა რამოდენიმე ტექნიკური ხასიათის უზუსტობა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო მოცემული რეკომენდაციები რომლის გათვალისწინებას დაწესებულება არ გეგმავდა. პროგრამას ერქვა ქართველური ენათმეცნიერება, პროგრამის მიზანი იყო აფხაზეთში შეესწავლა ქართული ენობრივი სამყარო, ტოპონიმის, გვარ-სახელები. აუცილებელი იყო განსხვავების დანახვა აფხაზეთისმცოდნეობასა და აფხაზოლოგიის შორის. აღნიშნული

მიმართულებით წლების მანძილზე ხორციელდებოდა მრავალი კვლევა. აღნიშნული საგანი შედიოდა ქართველურ სივრცეში და არ იყო ინდივიდუალურად გამოყოფილი. მან აღნიშნა რომ პროგრამა ფუნქციონირებდა 5 წლის მანძილზე და ჰყავდა 3 კურსდამთავრებული, რომლებიც იყვნენ წარმატებით დასაქმებულები. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ყველა კურსი აგებული იყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ჰყავდა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც ორიენტირებული იყო მაღალ სტანდარტზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დისერტაცია დაცული ჰქონდა მხოლოდ 2 დოქტორანტს, ხოლო ერთი დოქტორანტი იყო დაცვის პროცესში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთან მემორანდუმის ფარგლებში ევროპიდან ჩამოდიოდნენ დოქტორანტები იმისათვის რომ ეკვლიათ კავკასიოლოგია. შესაბამისად მას ვერ წარმოედგინა რატომ უნდა გაეგზავნათ სტუდენტები საზღვარგარეთ მაშინ როდესაც პირიქით მათთან ჩამოდიოდნენ ინფორმაციის და ცოდნის მოსაპოვებლად.

წარმომადგენელმა ასევე მსჯელობა ააგო ტერმინზე „რეკომენდაციის გაცემა“. მან განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ ძალიან კარგი ტერმინი, თუმცა იგი უნდა ყოფილიყო მაღალი დონის შინაარსის მატარებელი და მისაღები დაწესებულებისათვის. რაც შეეხებოდა ზოგად არჩევით კურსებს, რომელიც ჩანაცვლებული უნდა ყოფილიყო სხვა უფრო ძლიერი კურსებით, ხაზგასმით შეიძლებოდა აღნიშვნა, რომ მათ პროგრამაში არა არსებობდა არცერთი ზოგადი შინაარსის მატარებელი კურსი. მათ ჰქონდათ პროფილური კურსები, რომელსაც ერქვა აქტუალური პრობლემები, რაც გულისხმობდა რომ ენათმეცნიერების მაგისტრატურის კურსდამთავრებულისათვის მიეცათ სპეციალური ცოდნა. შესაბამისად მათ ჰქონდათ აქტუალური კურსები და არა ზოგადი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუ გადახედავდნენ თემატიკას თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემების სილაბუსში, ნახავდნენ თემებს როგორიც იყო ზოგადი ფონეტიკის პრობლემები, ფონეტიკის რაობა, ფონემათა არტიკულაცია და აკუსტიკა. ყოველივე აღნიშნული გახლდათ ბაკალავრიატის დონის შესაბამისი.

წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ენის დოკუმენტირებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ჩატარებულიყო კვლევები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტებს, ენის დოკუმენტირება არ წარმოადგენდა კვლევას, მათ უნივერსიტეტს ჰქონდა დიდი გამოცდილება დოკუმენტირების და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. მათი თანამშრომლის მერაბ ჩუხუას მიერ შექმნილი იყო საერთაშორისო მასშტაბის ფონეტიკური ანბანი, ერთ-ერთი პირველები აღნიშნული მიმართულებით გახლდა სწორედ სოხუმის უნივერსიტეტი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგად არჩევით კურსებში იგულისხმებოდა თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემების კურსი, რომლის თემატიკაც თუ გადაიხედებოდა იქნებოდა საკმაოდ მარტივი და გასაგები რომ მოიცავდა მხოლოდ საწყისებს. ზოგადი ფონეტიკის პრობლემები, ფონების რაობა და ა.შ. მას სჯეროდა რომ წარმომადგენელი გულისხმობდა უფრო ვრცელ და აქტუალურ პრობლემებს, მაგრამ ეს თერმატიკაში არ ჩანდა. მათი მიღების წინაპირობის გათვალისწინებით აღნიშნული კურსის ჩადება არ იყო გამართლებული.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მან ვერ გაიგო რას ნიშნავდა, როდესაც სილაბუსში გარკვეული საკითხები იყო ინკორპორირებული, რომელსაც ლექტორი თავის ლექციაზე

სხვანაირად გადმოსცმედა. აღნიშნულის კონტროლის მექანიზმი არ არსებობდა. სილაბუსი გალხდათ ის დოკუმენტი საიდანაც უნდა მომხდარიყო იდენტიფიკაცია თუ რომელ დონეს ეხებოდა. ექსპერტის განცხადებით აღნიშნულ სილაბუსებში გადმოცემული იყო ზოგადი კურსები, რაც არ იყო სასიამოვნო მოსასმენი.

საბჭოს წევრი სოფიკო ლობჯანიძე დაინტერესდა, როგორ წარმოედგინა დაწესებულებას განათლების მაგისტრს ესწავლა ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე. განათლების მაგისტრი გახლდათ ფართო ცნება. ლინგვისტიკა გახლდათ იმდენად სპეციფიკური სფერო, რომ წარმოდგენელი იყო სწავლა შემღებოდა განათლების მაგისტრს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიღების წიანპირობის გათვალისწინებით, უკვე ექნებოდა აღნიშნული ზოგადი კურსებით გათვალისწინებული ცოდნა.

წარმომადგენელმა მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში, მნიშვნელოვანი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა, ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტებში გათვალისწინებული იყო სვოტ ანალიზი, დანარჩენი დოკუმენტაცია ექსპერტებს მიაწოდეს ადგილზე. აღნიშნულ დოკუმენტებში იყო შიდა შეფასება, ბაზრის კვლევა, რაოდენობრივი მაჩვენებლები. ყველა დოკუმენტაცია ნანახი იქნა ადგილზე. დოკუმენტაციის თანახმად უკუგება იყო ნათელი და გაუგებარი იყო თუ რაში გამოიხატებოდა ჩართულობის არსებობა. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებული იყო ფაკულტეტის დონეზე. წარმოდგენილი იყო პროგრამის 7 წლიანი ბიუჯეტი და უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტის პროექტი. რაც შეეხებოდა კომუნიკაციურ-ტექნოლოგიური უნარის განვითარებას, აღსანიშნავი იყო, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით აღნიშნული უნარის განვითარება გათვალისწინებული იყო სწავლების სამივე საფეხურზე.

საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, რამდენად გამართლებული იყო ჰუმანიტარიაში, კერძოდ, ქართველოლოგიაში იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა, რადგან, მართალი იყო, ამ ტიპის ჟურნალები ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც არსებობდა, მაგრამ ეს კრიტერიუმი არ გამოიყენებოდა პუბლიკაციის სამეცნიერო ღირებულების დასადგენად. მან დასვა აგრეთვე კითხვა, რამდენად დასაბუთებული იყო დოქტორანტისათვის ზოგადად პუბლიკაციის მოთხოვნა; რა მიმართებაში იყო ამ პუბლიკაციის მომზადებისთვის საჭირო დრო კვლევითი კომპონენტის კრედიტებთან; დისერტაციის ძირითადი დასკვნების წინასწარ პუბლიკაციით ხომ არ კარგავდა დისერტაცია სამეცნიერო სიახლეს? იგი ასევე დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ წარმოედგინა ორი სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით და რატომ არ შეიმუშავა ზოგადად ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო თემაზე ფილოლოგიის პროგრამებში ჰქონდათ მოდულები რის საფუძველზეც შექმნეს სადოქტორო პროგრამები.

ექსპერტმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ქართველოლოგიის დარგში განაცხადა, რომ წარმოადგენდა გარკვეულ პრობლემას. მიუხედავად ამისა დარგი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო პროგრესზე, საქართველოში არსებობდა ჟურნალები, რომელიც მოხვედრილი იყო საერთაშორისო ბაზებში და შესაძლებელი იყო ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო დონეზე. სტუდენტების უმეტესობა არ იღებდა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. მიუხედავად იმისა რომ უნივერსიტეტი მათ სთავაზობდა პროგრამები მონაწილეობას მათ არ უჩნდებოდათ სურვილი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა უკავშირდებოდა დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ესაუბრა დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამაში გაწერილი მიზნების ძირითადი ნაწილი შეესაბამებოდა დაწესებულების მისიას. აუცილებელი იყო დაწესებულებას ჰქონოდა სტუდენტთა ელექტრონული ბაზა და სისტემა, იმისათვის რომ სტუდენტს ჰქონოდა საშუალება თვითონ წარემართა სასწავლო პროცესი. დოქტორანტთა ინტერანციონალიზაციის მიზნით, მიღების წინაპირობების დროს სავალდებულო გამოცდა უცხო ენაში ჩატარებული ყოფილიყო ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებში. დოქტორანტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლისა და წარმატების მიზნით, მიზანშეწონილი იყო პოტენციურ დამსაქმებლებთან დიალოგისა და ურთიერთობის გაღრმავება. ბიუჯეტის გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ხარჯები სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დაფინანსებისათვის. მიზანშეწონილი იყო სადოქტორო პროგრამას ჰქონოდა ხედვა, რომელიც

მიმართული იქნებოდა მის ინტერნაციონალიზაციაზე, რაც გაზრდიდა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას. საჭირო იყო სტუდენტთა უზრუნველყოფა თანამედროვე ლიტერატურით და თანამედროვე სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ წინა საკითხების განხილვისას სოხუმის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ექსკლუზიური წვდომა ელექტრონულ ბაზებთან. მისთვის გაიგებარი იყო ექსპერტის განცხადება ბაზების არარსებობასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როდესაც მათ შეამოწმეს ელექტრონული ბაზები ბიბლიოთეკაში ვერ მოახერხეს მათი გახსნა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დადეს ხელშეკრულებები და შეიძინეს სკოპუსი და ვებსაიენსის პროგრამები. მიმდინარეობდა ტრენინგები დოქტორანტების და აკადემიური პერსონალის ბაზებში ჩართვის მიზნით.

ექსპერტმა გააჟღერა დასკვნაში ასახული რამოდენიმე რჩევა, რომლის თანახმად უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად სასურველი იყო პროგრამის მიზნებში მომხდარიყო ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების ასახვა, რადგან ექსპერტების მოსაზრებით სოხუმის უნივერსიტეტი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერი და ინტელექტუალური ფასეულობების შესწავლაზე. აღნიშნულის გათვალისწინება თემატიკაში უფრო მეტად მიმზიდველს გახდიდა პროგრამას.

წარმომადგენელმა მიღების წინაპირობებში გამოცდის ინგლისურ და ფრანგულ ენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა გულისხმობდა გასულ საუკუნეს, როდესაც 70 წლის განმავლობაში საქართველო იყო საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი. სოც-რეალიზმთან დაკავშირებული კვლევები საქართველოში დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ და 21 საუკუნის გადასახედიდან სხვაგვარად იქნა აღქმული ის პრობლემები რაც არსებობდა 70 წლის განმავლობაში. დოქტორანტს რომელიც დაინტერესობდა სოც-რეალიზმის პრობლემებით სასურველი იყო ჰქონოდა რუსული ენის ცოდნა. წყაროები აღნიშნულთან დაკავშირებით იყო რუსულ ენაზე, შესაბამისად რუსული ენის ცოდნა სასურველი იყო. რაც შეეხებოდა აფხაზ მწერლებს მათი უმრავლესობა წერდა რუსულ ენაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დოქტორანტებთან გასაუბრების დროს აღმოჩნდა რომ ორი სტუდენტის გარდა ყველას ჩაბარებული ჰქონდა რუსული ენა, ინტერნაციონალიზაციის მიზნით სასურველი იქნებოდა ინგლისური ან სხვა უცხო ენის განსაზღვრა წინაპირობად.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთი გახლდათ სენსიტიური თემა. მას არ მიაჩნდა რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის პროგრამაში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი აფხაზური ლიტერატურა. აფხაზური ლიტერატურა გახლდათ თავისთავად ძალიან საინტერესო ფენომენი, თუმცა იგი არ გახლდათ ქართული ლიტერატურის ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 27⁶ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურის და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას სრული აკრედიტაცია მიენიჭა 9 თვიანი მონიტორინგის პირობით. შესაბამისად ცენტრს 9 თვის მანძილზე უნდა გადაემოწმებინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინება.

21:45 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდულაძე

სხდომის მდივანი

ლევან გორდეზიანი

